შეცვალე ასო

მოსწავლეები ამა თუ იმ სიტყვაში ასოების ჩანაცვლებით ადგენენ ახალ სიტყვებს.



კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: წყვილები, ჯგუფები, მთელი კლასი.

რესურსი: დაფა და ცარცი.

მსვლელობა

- მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას.
- მოსწავლეები ამ სიტყვის მიხედვით ადგენენ ახალ სიტყვებს იმგვარად, რომ ყოველ მომდევნო სიტყვაში ცვლიან მხოლოდ თითო ასოს. ეს შეიძლება იყოს როგორც პირველი, ისე ნებისმიერი სხვა ასო.

ნიმუში

ბარი → ქარი → ქალი → ბალი → ბელი → ბოლი